ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 10

ქ. თბილისი 13.07.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **მარინა უშვერიძე** - PH-International - საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი

4. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

5. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

6. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

7. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის

საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

8. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
9. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

შალვა ქენქაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი

გიორგი ჩავლეიშვილი - გენერალური დირექტორი

2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზია

გულადი (გაბრიელ) გულორდავა - სკოლის დირექტორი

ნათელა ჩახაია - სასწავლო პროცესის მენეჯერი

3. შპს გურამ დოჩანაშვილის - საერთაშორისო ქართული სკოლა

ქეთევან დოჩანაშვილი- სკოლის დირექტორი

თამარ ხარძიანი - დირექტორის მოადგილე

4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა

ვლადიმერ გორდელაძე - სკოლის დირექტორი

ნინო გოგეშვილი - დირექტორის მოადგილე

რუსუდან კვირკველია - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

5. შპს ღონე ქვეყნისა

მანანა ქარქაშაძე - გენერალური დირექტორი

თამარ ადეიშვილი - დირექტორი

6. ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

ნ. ქანქელავა - სკოლის დირექტორი

თ. მამულია - ხარისხის მართვის მენეჯერი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

მანანა ალიბეგაშვილი

ლელა ფიცხელაური

ლევან ღურწკაია

ნინო ბალანჩივაძე

ქეთევან ბოტკოველი

ირინა დვალი

სერგო დურგლიშვილი

იანინა გიგიბერია

მაკა ტუკვაძე

თამარ ჩხიკვაძე

ნელი ნასყიდაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 17:30 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო

სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. შპს ღონე ქვეყნისას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ საბჭოს თავმჯდომარესა და საბჭოს წევრებს მიმართა, რომ შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსთან მიმართებით ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, რის გამოც ვერ მიიღებდა მონაწილეობას საკითხის განხილვაში. შუამდგომლობას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს მდივნის, თამილა ჩუბინიძის არ ყოფნის გამო, საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრ მაკა მამფორიას. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა მანანა ალიბეგაშვილმა და ლელა ფიცხელაურმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1 ექსპერტმა მანანა ალიბეგაშვილმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო აკადემია ლოგოსი ავტორიზაციას სამივე საფეხურზე სურდა ავტორიზაციის გავლა, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ჰყავდა. სულ 143 მოსწავლე. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრებოდა დაწყებით საფეხურზე 12, საბაზო/საშუალო საფეხურზე 15 მოსწავლით. მისი თქმით სკოლა ფუნქციონირებდა გამართულად. მისიის შესრულების სურვილიდან გამომიდინარე სკოლას გაძლიერებული ჰქონდა ქართულის, გერმანულის, ინგლისურის, მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიისა და ბიოლოგიის სწავლება, ასევე დამატებული ჰქონდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი საგანი რამაც გამოიწვია საათობრივი ბადის გაზრდა. აქედან გამომდინარე, საათობრივი ბადის განსატვირთად სკოლა მუშაობდა 6 დღეს. ექსპერტმა გარემოსთან დაკავშირებით აღნიშნა რომ სკოლაში ხარისხზე ორიენტირებული და კეთილგანწყობილი გარემო იყო.

საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანმა იკითხა კონკრეტულად , რამდენად გადატვირთული იყო სასწავლო გეგმა, რაზეც ექსპერტმა მანანა ალიბეგაშვილმა უპასუხა, რომ მე-7 კლასში იყო 40

საათი , მე-8 და მე-9 კლასებში 43 საათი, მე-10 კლასში 41საათი, მე-11 45 საათი და მე-12 27 საათი კვირეული დატვირთვა. აღნიშნული იყო 6 დღეზე გათვლილი სწავლება შაბათის ჩათვლით.

მანანა რატიანი ასევე დაინტერესდა გახანგრძლივებული გაკვეთილების დაგეგმვით, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა რომ მათ არ ჰქონდათ გახანგრძლივებული გაკვეთილები. მოსწავლეებს ამის ნაცვლად უტარდებოდათ ცხოვრებისეული უნარების, მსოფლიო ლიტერატურა და სხვა შინაარსის გაკვეთილები.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2 სკოლა ფუნქციონირებდა ყაზბეგის გამზ.N2 მდებარე შენობის 1387.2 კვ.მ. ფართზე, რომელსაც ასევე ჰქონდა 312.2 კვ. მ სპორტული მოედანი. თუმცა სკოლას ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება 2018 წლის 24 აპრილს შპს „ბიზნეს ცენტრ საბურთალოსთან" დამატებით 702 კვ.მ ფართის 6 წლის ვადით, დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა 2018 წლის 01 აგვისტოდან, რის საფუძველზეც სკოლის საერთო ფართი იქნებოდა ჯამში 2401.4 კვ.მ . საიდანაც შენობა - ნაგებობების ფართი 2089.2 კვ.მ , ხოლო სპორტული მოედანი - 312.2 კვ. მ.

სკოლაში 16 საკლასო ოთახი იყო. დამატებით 1 კომპიუტერული ლაბორატორია, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია,1 ხელოვნების კლას-კაბინეტი , 1 სარეზერვო კლასი. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო ინდივიდუალური მერხებითა და შესაბამისი რაოდენობის სკამებით, რომლებიც მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაბამისად იყო შერჩეული. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილი იყო სასკოლო დაფებით ,საგანმანათლებლო რესურსით, რაც მოიცავდა სხვადასხვა საგნის სწავლებისათვის აუცილებელ თვალსაჩინოებას, პლაკატებს, რუკებს, ცხრილებს და სხვას. სკოლაში აქტიურად გამოიყენებოდა ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. ამისათვის სკოლას ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებული ჰქონდა პროექტორები შესაბამისი საპრეზენტაციო ეკრანებით. სულ ჯამში სკოლაში განთავსებული იყო 295 მერხი, 465 სკამი და 35 დაფა, სკოლას გაფორმებული ჰქონდა 90 მოსწავლის მერხის შეძენასთან დაკავშირებით ხელშეკრულება 01.06.2018 წელს ი/მ „დავით საჯაიასთან".

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ შენობასთან დაკავშირებით დასვა კითხვა, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნულ შენობებში განლაგებული იყო ორი სკოლა, თუმცა ისინი სრულიად გამიჯნული იყვნენ ერთმანეთისაგან, ლოგოსს ეკავა ფართობი პირველ, მეორე,

მესამე და დამატებით 702კვ. მ ტერიტორიაზე, ხოლო მეორე სკოლას ჰამილტონს მესამე სართულის ნაწილსა და მეოთხე სართულზე. ასევე სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე თვეში იგეგემბოდა ამ სკოლების გაერთიანება და შენობის მთლიანი ფართის გადაეცემა ლოგოსისთვის.

საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა დამატებული 702კვ. მ ფართის მდგომარეობით, იყო თუ არა ის შესაბამისად მოწყობილი და შემოწმებული ექსპერტების მიერ, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული ფართობი ჯერ არ იყო გარემონტებული თუმცა გაფორმებული იყო ხელშეკრულება სარემონტო სამუშაოებზე. აქედან გამომდინარე ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ამ ფართის მოუმზადებლობის და შესაბამისი შემოწმების გავლის გამო ლოგოსს წინსწრებით ვერ დაემატებოდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ამ ფართზე უნდა განთავსებულიყვნენ.

რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენელს ჰკითხა მათ შენობაში არსებული ამერიკულ- ქართული განათლების ცენტრის შესახებ და დაინტერესდა, ხომ არ უშლიდნენ ერთმანეთს ხელს ფუნქციონირებასი ეს ორი დაწესებულება, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი დროში შეთავსებით ახორციელებდნენ სასწავლო პროცესს და ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონდა, გარდა ამისა სამივე სართულზე სკოლა უზრუნველყოფილი იყო დაცვით და ხდებოდა პერიმეტრის სრული გაკონტროლება კამერბეითა და რაციების საშუალებით.

1.3 ექსპერტ მანანა ალიბეგაშვილის თქმით, სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას უძღვებოდა 53 პედაგოგი. გარდა ამისა სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავდა გენერალური დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, ფინანსური მენეჯერი, ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერი, IT მენეჯერი, რეკლამირებისა და სოციალური მედიის მენეჯერი, გრაფიკოს დიზაინერი, ტექნიკური მენეჯერი და სხვ. სულ სკოლაში დასაქმებული იყო 64 თანამშრომელი.

სკოლის პედაგოგები შერჩეული იყვნენ სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამებოდა საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლას ჰყავდა 6 წამყვანი, 18 უფროსი და 20 პრაქტიკოსი მასწავლებელი.

დანარჩენი 9 პედაგოგიდან რომლებიც არ იყვნენ ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, სამი დამატებითი სავალდებულო საგნის უცხოელი პედაგოგი იყო, სამი პედაგოგი (SAT, TOEFl) სასწავლო კურსს უძღვებოდა, ერთს ჩაბარებული ჰქონდა საგნის გამოცდა და გადიოდა 60 კრედიტიან პროგრამას, ორი პედაგოგის (ისტორიისა და მუსიკის) სტატუსი შეუსაბამო იყო მოქმედ კანონმდებლობასთან. ამ ადგილებზე გამოცხადებული იყო კონკურსი და ამის გამო მათთან გააფორმეს დროებითი ხელშეკრულება, რომ არ შეწყვეტილიყო სასწავლო პროცესი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 240 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის (ს/კ: 404989704) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით.

2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ლევან ღურწკაიამ და ნინო ბალანჩივაძე. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1 ექსპერტმა ლევან ღურწკაიამ განაცხადა რომ სკოლას ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით არსებითი სახის ხარვეზები არ გააჩნდა. მისი თქმით სკოლას მიეცა რეკომენდაცია შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტით პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვადებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხარვეზი სკოლამ ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2 ექსპერტ ლევან ღურწკაიას განცხადებით, ა(ა)ი.პ. საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზია განთავსებული იყო ერთ მისამართზე და იგი მდებარეობდა ზუგდიდის რაიონში, სოფ. კახათში. ექსპერტმა ლევან ღურწკაიამ აღნიშნა, რომ სკოლა სწავლებას ახორციელებდა სამივე საფეხურზე. აღნიშნულ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილგანწყობილი გარემო. სკოლამ ვებ გვერდზე განაახლა ყველა სახის ინფორმაცია და იგი გამართული იყო როგორც საინფორმაციო ასევე საკომუნიკაციო ფუნქციის შესასრულებლად.

რეკომენდაციის საფუძველზე დამატებით დამონტაჟდა ერთი გარე კამერა რომელიც უსაფრთხოებისთვის იყო მნიშვნელოვანი. გარდა ამისა ექსპერტებმა სკოლას რეკომენდაცია მისცეს სახელმძღვანელოებთან დაკავშირებითაც.

ექსპერტის თქმით, საერთო ფართობიდან სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი იყო 793.4 კვ.მ. გიმნაზიას ჰქონდა 12 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით: 140 ინდივიდუალური მერხი, 140 სკამი, 12 დაფა, თვალსაჩინოებები პერიოდული სისტემა, რუკები. კომპიუტერული სწავლების კაბინეტი, რომელშიც იყო განთავსებული ინტერნეტში ჩართული 5 კომპიუტერი, 1 პიანინო, 1 ასლგადამღები აპარატი (კომბაინი), 4 ვიდეო სათვალთვალო კამერა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის ლაბორატორია (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია).

ლაბორატორიის ოთახში იყო ხელსაბანი, არ იყო დამონტაჟებული გამწოვი, თუმცა იყო ორი დიდი ფანჯარა გასანიავებლად და ოთახი იზოლირებული იყო სხვა კლასებისგან. 5 ინდივიდუალური მერხი, სკამები და ერთი მასწავლებლის მაგიდა. ექსპერტთა ვიზიტის დროს ადმინისტრაციას გაეწია რეკომენდაცია ლაბორატორიის გაფართოების თაობაზე, რის საშუალებასაც იძლეოდა ოთახის მდებარეობა, რათა ლაბორატორია ხელმისაწვდომი ყოფილიყო მრავალრიცხოვანი კლასებისათვისაც.

სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით ექსპერტის თქმით სკოლამ ყველა მათგანი გაიაზრა და გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრემბა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 140 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანმა გააკეთა დათქმა, რომ სკოლას სასწავლო პროცესის დაწყებამდე უნდა გადმოეგზავნა ახალი სახელმძღვანელოების ნუსხა და მიღება ჩაბარების აქტი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიას (ს/კ: 419987474) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

3. შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ირინა დვალმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1 ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ „გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლა“ ს/კ 01.14.04.013.029 მდებარეობდა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, IIIკვარტალი 8ა. სკოლა განთავსებული იყო 1278 კვ.მ. მიწის ფართობზე არსებულ N1, N2 და N3 შენობა-ნაგებობაში - ერთ სამსართულიან (N1) და ორსართულიან (N2 და N3) შენობაში, რომელთა საერთო ფართი იყო: 1024.19კვ.მ. (ს/კ 01.14.04.013.029). ექსპერტის თქმით აღნიშნული ტერიტორია მთლიანად შემოღობილი იყო და მას ყავდა დარაჯი და დაცვა, პერიმეტრი მთლიანად კონტროლდებოდა. სკოლაში იყო კეთილგანწყობილი გარემო. როგორც ექსპერტმა აღნიშნა სკოლის ინფრასტრუქტურა მთლიანად გამართული და ახალგარემონტებული იყო. მის მფლობელობაში იყო 271 ერთადგილიანი მაგიდა და სკამი. ამ მაგიდების გარდა სკოლის სხვადასხვა კაბინეტში განთავსებული იყო ორადგილიანი და სამადგილიანი მაგიდები და რბილი სკამები. სკოლას ჰქონდა 11 პერსონალური კომპიუტერი და 3 ლეპტოპი, 1 პროექტორი, 2 პრინტერი, 2 პიანინო. სკოლის მფლობელობაში ასევე იყო სხვადასხვა საგნის სხვადასხვა თვალსაჩინოება. ასევე მათ აღნიშნეს, რომ სკოლას ჰქონდა დიდი ეზო, რომელიც გამოიყენებოდა

სპორტული აქტივობებისთვის (მინი ფეხბურთი, სპორტი) სკოლის ტერიტორიასთან მდებარეობდა მერიის მიერ გაკეთებული დიდი კომპლექსური სპორტული მოედანი, რომელსაც სკოლა საჭიროებისამებრ იყენებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2 სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზებაში მონაწილეობდა სულ 52 თანამშრომელი: დირექცია - დირექტორი, 2 მოადგილე, ბუღალტერი. დამხმარე პერსონალი - საქმეთა მმართველი, ბიბლიოთეკარი, 8 კლასის დამრიგებელი, 2 ექიმი, 1 მნე, 1 დამლაგებელი, 3 მზარეული, 1 დაცვა, 4 მძღოლი, 30 მასწავლებელი. რამდენიმე საგნის მასწავლებელი და დირექციის წარმომადგენელი ამავე დროს საგნის მასწავლებელიც იყო. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ, ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა მათგანს უდასტურდებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია.

ერთ-ერთი მასწავლებელი არ იყო ჩართული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში" მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა მასწავლებლის სტატუსი, 2012 წელს ჩაბარებული ჰქონდა მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა და მოპოვებული ჰქონდა ბუნებისმეტყველების (I-VI) მასწავლებლობის უფლება. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰქონდა კომუნიკაცია მასწავლებელთა სახლთან და გაგზავნილი იყო წერილი, რომლითაც მოთხოვნილი იყო მასწავლებლის ჩართვა სქემაში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადაამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.3 ექსპერტების შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სკოლაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა, როგორც 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, რომელიც აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.

სკოლამ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების თემატური გეგმების პროექტები VII-XII კლასებისთვის და დამატებითი საგნების პროგრამები და თემატური გეგმები. დაწყებითი საფეხურის პროგრამები ვიზიტის დროისათვის არ იყო შემუშავებული, გრიფირებული სახელმძღვანელოების არ არსებობის გამო.

ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა აერთიანებდა ქართული ენის, ინგლისური ენის, რუსული ენის, გერმანული ენის, გეოგრაფიის, ისტორიის, კულტ. ისტორიის, სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების პედაგოგებს.

მათემატიკის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა აერთიანებდა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბუნების, ისტ-ის პედაგოგებს.

სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა აერთიანებდა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, კინოხელოვნების, მუსიკის, ჭადრაკის, ქართული ცეკვის, ბალეტის, სპორტის პედაგოგებს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 290 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს გურამ დოჩანაშვილის-საერთაშორისო ქართული სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ დოჩანაშვილის-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 290-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გურამ დოჩანაშვილის-საერთაშორისო ქართული სკოლის (ს/კ: 404903734) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 290-ით.

4. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, სერგო დურგლიშვილმა და იანინა გიგიბერიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტ სერგო დურგლიშვილის განცხადებით, სკოლაში არ იყო სერიოზული სახის დარღვევები. დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი. კერძოდ, სკოლას არა ჰქონდა ცალკე გამოყოფილი ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაიყვანა სველი წერტილი ერთ-ერთ საკლასო ოთახში და ახალი სასწავლო წლის დასაწყისათვის გეგმავდა კლას-ლაბორატორიის გაკეთებას შენობის პირველ სართულზე. ვიზიტის პერიოდში შეიძინეს ნიჟარა და საკლასო ოთახში დამონტაჟდა სველი წერტილი.

სკოლაში დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლას შეძენილი ჰქონდა 7 უსაფთხოების ვიდეო კამერა. 3 ცალი შენობის შიდა, 3 შენობის გარე პერიმეტრის; 1 კამერა არ იყო მუშა მდგომარეობაში. კამერები აკონტროლებდნენ შენობის ორივე სართულს და გარე პერიმეტრის ნაწილს. არც ერთი კამერა არ შეესაბამებოდა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების

(გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთ-ვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.)

2018 წლის 12 ივნისს სკოლამ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „დიჯიტალ სერვისთან" 5 ვიდეოკამერის შესაძენად, ხუთივე კამერა დააკმაყოფილებდა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. ადმინისტრაცია გეგმავდა კამერების დამონტაჟებას მ/წ სექტემბრის ბოლომდე.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორსართულიანი შენობის პირველ და მეორე სართულის 12 საკლასო ოთახში. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო მოსწავლის 200 ინდივიდუალური მერხით, 29 ორადგილიანი მერხით, 236 სკამით და სხვა აუცილებელი ინვენტარით. ჯამში, სკოლას გააჩნდა 229 მერხი და 236 სკამი. სკოლას ავტორიზაციის შედეგად (გადაწყვეტილების ნომერი: N27, 26/08/2015.) მინიჭებული ჰქონდა უფლება 240 მოსწავლის მომსახურეობაზე, თუმცა სკოლის ადმინისტრაციის თხოვნა იყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 225 - ით განსაზღვრა, რადგან ამ ეტაპზე სკოლა არ საჭიროებდა მეტ ადგილს, ხოლო 225 მოსწავლისთვის სკოლას შეეძლო ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად მომსახურება. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის (ს/კ: 237113075) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ 19:15 საათზე დატოვა სხდომა.

5. შპს ღონე ქვეყნისას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და თამარ ჩხიკვაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.
5.1. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, სკოლა, 2017-2018 სასწავლო წელს ახორციელებდა დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის პროგრამას. გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზის, მასწავლებლებთან კონსულტაციების, მშობლებისა და მოსწავლეების სურვილების და საჭიროებების გათვალისწინებით სკოლამ მიიღო საბაზო და საშუალო საფეხურების დამატების გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სკოლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა დასახა მიზნის მისაღწევი ამოცანები, ცვლილება შეიტანა სკოლის მისიაში, შინაგანაწესში, შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი (2018-2024) და (ერთწლიანი) 2018-2019 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები.

ცვლილებების გათვალისწინებით სკოლამ წარმოადგინა ახალი 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო პედაგოგიური საბჭოს მიერ 2018 წლის 10 იანვარს. სკოლაში ყველა საგნისა და კლასის მიხედვით მასწავლებლებს შემუშავებული ჰქონდათ თემატური გეგმები, შეფასების ფორმები/რუბრიკები. ასევე შემუშავებული ჰქონდათ შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა, რომელშიც მოცემული იყო დავალება, შეფასების სქემა, ესგ-ს მისაღწევი შედეგები,

თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული ქულა და რეკომენდაცია. შერჩევითი წესით შემოწმდა რამდენიმე პედაგოგის, სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, საიდანაც გამოჩნდა, რომ შემაჯამებელი დავალების ანალიზისას პედაგოგები შეიმუშავებდნენ თითოეული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე რეკომენდაციებს. სემესტრის ბოლოს შემაჯამებელი შეფასებების საფუძველზე კათედრის ხელმძღვანელები წერდნენ საერთო ანალიზს და გეგმავდნენ შედეგების გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს. შემაჯამებლის დავალებების ანალიზის ფორმა იძლეოდა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ანალიზის საშუალებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა გამაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.2. ექსპერტ მაკა ტუკვაძის თქმით შპს ,, ღონე ქვეყნისა" მდებარეობდა ქ. ქუთაისში და სასწავლო პროცესს ახორიციელებდა ორ მისამართზე განთავსებულ შენობებში. კერძოდ, უზნაძის ქუჩა 26/რომევიჩის ქუჩა 2-ში მდებარე შენობა, რომელიც შპს ,,პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტის" საკუთრება იყო და მის ბაზაზე დაარსდა კერძო სკოლა ,, ღონე ქვეყნისა". სკოლის შენობა ორსართულიანი იყო. დიდ, ნათელი და კომფორტული ინვენტარით გაწყობილი საკლასო ოთახები ქმნიდა პოზიტიურ გარემოს სასწავლო პროცესისათვის. შენობას ჰქონდა ნულოვანი სართული ანუ სამეურნეო ფართი, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა აქტივობისათვის. შენობას ერთი გასასვლელი ჰქონდა ეზოში.

სკოლას შენობის მფლობელთან გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება 12 წლით. ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2018 წლის 15 იანვარს და ცვლილება განხორციელდა 20.06.2018-ში ფართის დამატების გამო. იჯარის ხელშეკრულების თანახმად სკოლის სარგებლობაში იყო: ქუთაისში უზნაძის ქუჩა 26/რომევიჩის 2-ში მდებარე შენობა(ს/კ 03.03.26.033.01/504) ფართით 616,59კვ/მ და სამეურნეო ფართი 228,65კვ/მ, ასევე ქ. ქუთაისში უზნაძის 26/ რომევიჩის ქუჩა 2-ში მდებარე შენობა(ს/კ 03.03.26.033.01/503) ფართით 218.58 კვ/მ. სულ საერთო ფართი იყო -1063.82კვ.მ. მეორე ფართი სადაც სკოლა ახორციელებდა სასწავლო პროცესს, მდებარეობდა ქ. ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა 54-ში მდებარე ორსართულიან შენობაში, სადაც განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები.

დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება 12 წლით. შენობის საერთო ფართი იყო 114.28კვ.მ

შენობებს შორის მანძილი დაახლოებით 2-3 მეტრი იყო

სკოლში სულ 12 საკლასო ოთახი იყო. თითოეულ საკლასო ოთახში შინაგანაწესით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი, 10 ინდივიდუალური მერხი იყო განთავსებული, აგრეთვე იდგა მასწავლებლის მაგიდა სკამით, იყო სასწავლო დაფა და მოწყობილი იყო მინი ბიბლიოთეკა. ყველა კლასს საკუთარი საკლასო ოთახი ჰქონდა და თითოეულის კარზე გაკრული იყო კლასის ნომერი და მოსწავლეთა სურათები, ვინც მითითებულ კლასში ირიცხებოდა.

საკლასო ოთახებში გამოკრული იყო სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინოებები, მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატები და ხელით შექმნილი სასწავლო რესურსები.

სკოლის საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციით, სკოლის მფლობელობაში იყო 122 ინდივიდუალური მერხი და სკამი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.3. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, დაწესებულების ეფექტური მართვისათვის სკოლას შემუშავებული ჰქონდა სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურის დებულება. სტრუქტურა სქემის სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო დებულებაში გაწერილი იყო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. სკოლის სტრუქტურა მოიცავდა: დამფუძნებელს, სკოლის დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს და დამხმარე პერსონალს. სკოლას საშტატო განრიგით განსაზღვრული ჰყავდა 27თანამშრომელი. აქედან პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა 22 თანამშრომელი.

პედაგოგების საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა სკოლის 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვას.

სკოლში საგაკვეთილო პროცესს უძღვებოდა 22 პედაგოგი. აქედან მასწავლებელთა კარიერული განვითარების სქემაში ჩართული იყო 17 პედაგოგი და მათ მინიჭებული ჰქონდათ შესაბამისი სტატუსი. სკოლაში 2 წამყვანი და 5 უფროსი პედაგოგი იყო. ვიზიტის დროს, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნის მხოლოდ ერთი პედაგოგი არ იყო ჩართული სქემაში, თუმცა პედაგოგმა წარმოაგინა მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე დარეგისტრირების ფურცელი.

ერთ პედაგოგს ჩაბარებული ჰქონდა გამოცდა, გავლილი ჰქონდა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, გასულ სასწავლო წელს იყო მხოლოდ მორიგე მასწავლებელი. 2018-2019

სასწავლო წლის ბადეში გათვალისწინებული იყო გეოგრაფიის საათებით დატვირთვა. ორი პედაგოგი იყო მხოლოდ დამრიგებელი და მორიგე მასწავლებელი.

ექსპერტის თქმით, სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან წესების დაცვით გაფორმებული იყო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები შინაარსობრივად შესაბამისობაში იყო შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრემბა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ღონე ქვეყნისას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ღონე ქვეყნისას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ღონე ქვეყნისას (ს/კ:412683546) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

6. ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

6.1. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, სკოლა - გიმნაზიამ წარმოდგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის თანახმადაც იგი ახორციელებდა საგანმანათლებლო პროცესს მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურებზე და 2018-2019 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომლის თანახმადაც, ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში, სურდა სწავლების განხორციელება სამივე, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურზე და რომელიც დამტკიცდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სკოლა-გიმნაზიამ აგრეთვე წარმოადგინა საანგარიშო პერიოდში, წინა ავტორიზაციიდან დღემდე განხორციელებული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის ძლიერი მხარეების, შესაძლებლობებისა და რისკების ანალიზი.

სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეყრდნობოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იყენებდნენ ეროვნულ

სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ ორივე ტიპის შეფასებას, განმსაზღვრელს და განმავითარებელს. საგნობრივ კათედრებზე იყო შემუშავებული შეფასების რუბრიკები.

განსაზღვრული იყო კლასიდან კლასში მოსწავლის გადასაყვანი მინიმალური ბარიერი და მისი დაუძლევლობის შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების გაწევის მექანიზმები. შემუშავებული იყო საშემოდგომო გამოცდის დანიშვნისა და ჩატარების, გაცდენილი შემაჯამებელი სამუშაოების აღდგენის პროცედურები, დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასების პრინციპები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

6.2. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის თქმით, ა(ა)იპ წმინდა ალექსანდრე შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა- გიმნაზია მდებარეობდა სენაკში, რუსთაველის ქ. 116 მდებარე სამსართულიან შენობაში. შენობას ჰქონდა მანსარდი. შენობის მესაკუთრე იყო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია (ID ნომერი 204395537), რომელმაც სკოლა - გიმნაზიას უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით (23/07/2003) გადასცა 5033 კვ. მ მიწის ნაკვეთი, შენობა - ნაგებობები გაშენების ფართით N1 1233,09 კვ.მ და N2 გაშენების ფართობი 114,76 კვ. მ.

პირველ სართულზე განთავსებული იყო : ვესტიბული, 2 საპირფარეშო, 6 საკლასო ოთახი, კვების ბლოკი- სასადილო- სატრაპეზო , სპორტული დარბაზი და 2 გასახდელი.

მეორე სართულზე კი მდებარეობდა ბიბლიოთეკა, დირექცია, სამასწავლებლო, სამედიცინო ოთახი, 6 საკლასო ოთახი, 2 ოთახი უცხოური ენების განაყოფებისთვის, 4 საპირფარეშო.

მესამე სართულზე განთავსებული იყო 8 საკლასო ოთახი, 2 ოთახი უცხოური ენების განაყოფებისთვის, ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ოთხი საპირფარეშო.

მანსარდზე განთავსებული იყო ორი საკლასო ოთახი უცხოური ენების განაყოფებისთვის, საკლაო ოთახი მუსიკისთვის.

ა(ა)იპ წმინდა ალექსანდრე შუშანიას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა- გიმნაზიაში იყო 20 საკლასო ოთახი, კიდევ უცხოური ენების განაყოფებისთვის 4 ოთახი და 2 კაბინეტ-ლაბორატორია: , საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 502 ერთადგილიანი მერხითა და სკამით,

მასწავლებლის მაგიდით, ორ - ორი დაფით, სტელაჟებით, ტანსაცმლის კარადებით. სასწავლო პროცესისა და სასკოლო ღონისძიებების წარმართვისათვის სკოლა–გიმნაზიას გააჩნდა: 32 კომპიუტერი, 4 ლეპტოპი, 8 კომბაინი, პიანინო, ელექტროპიანინო, 2 ხმის გამაძლიერებელი, მიქშერი, 3 მიკროფონი, 2 მუსიკალური ცენტრი, 2 ტელევიზორი, DVD. სპორტული დარბაზი აღჭურვილი იყო შემდეგი სპორტული ინვენტარით: შვედური კედელი, სპორტული ლეიბები, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, რაგბის, კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის ბურთები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და 4 ჩოგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

6.3. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში 76 თანამშრომელი იყო, მათ შორის სასწავლო საგანმანათლებლო პროცესს ემსახურებოდა 52 მასწავლებელი. ამათგან, 30 იყო - პრაქტიკოსის, ხოლო 22 - უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე.

მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვას.

ექსპერტის თქმით, სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული იყო თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები.

სკოლა-გიმნაზიაში თანამშრომელთა მიღება ხორციელდებოდა კონკურსის შედეგებიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ დადგენილი თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის წესის შესაბამისად, რომელსაც ატარებდა ა(ა) იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორი მრჩეველთა საბჭოსთან ერთად.

სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული იყო მასწავლებელთა წახალისების შემდეგი ფორმები:

მადლობის გამოცხადება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ხელფასის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრემბა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 500 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას (ს/კ:439860152) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 19:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

მანანა რატიანი

მდივანი:

მაკა მამფორია